ახალი განათლება

2013 წელი, 25 აპრილი – 1 მაისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№17 (611) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

დავიანების განძის თბილისური დღეები

გვერდი 9-10

ამერიკელი პროფესორები ოპტიმისტები არიან, ავსტრიელები კი– პესიმისტები

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია **თამთა ამირანაშვილი**

გვერდი 6-7

სიახლე! მიმდინარეობს ხელმოწერა!

ისტორია

მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის

8 ლარი



4 ლარი

4,5 ლარი

12 ლარი

მოვემზადოთ გამოსაშვებ გამოცდებისთვის

5,5 ლარი

7,5 ლარი

6,5 ლარი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აცხადებს ვაკანსიას შემდეგ პოზიციებზე

კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტზე

ინფორმატიკის მიმართულებით
ასისტენტ-პროფესორი – 4 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 5 ვაკანსია
სრული პროფესორი – 2 ვაკანსია

სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგიის მიმართულებით
სრული პროფესორი – 2 ვაკანსია

ბიზნესის მართვის ფაკულტეტი

მენეჯმენტის მიმართულება
სრული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორი – 1ვაკანსია

მარკეტინგის მიმართულება
სრული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი –1 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია

ფინანსების მიმართულება
სრული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია

საბუღალტრო აღრიცხვა
სრული პროფესორი – 1 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია

ტურიზმის მიმართულება
ასოცირებული პროფესორი – 1ვაკანსია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თურქული ენის ფილოლოგია
სრული პროფესორი – 1 ვაკანსია

ამერიკისმცოდნეობის მიმართულება
სრული პროფესორი – 3 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია

განათლების ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგია და განათლება
სრული პროფესორი – 1 ვაკანსია

ინგლისური ფილოლოგია
ასოცირებული პროფესორი – 4 ვაკანსია

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამართალმცოდნეობა (საჯარო სამართალი)
სრული პროფესორი – 1 ვაკანსია

ეკონომიკის მიმართულება
სრული პროფესორი – 3 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ასისტენტ პროფესორი
დოქტორანტი ან დოქტორის ხარისხი

ასოცირებული პროფესორი
ა. დოქტორის ხარისხი
ბ. შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის, მინიმუმ, სამწლიანი გამოცდილება

სრული პროფესორი
ა. დოქტორის ხარისხი
ბ. ასოცირებულ პროფესორად მუშაობის, მინიმუმ, ექვსწლიანი გამოცდილება

პიროვნული თვისებები:

- ძლიერი ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარები
- ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილად ფლობა
- კარგი პედაგოგიური უნარ-ჩვევები
- შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოცდილება
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა
- ძლიერი კომუნიკაციის უნარები
- ძლიერი თვითმოტივირებისა და თვითდისციპლინის უნარები
- სტუდენტების, კოლეგებისა და უნივერსიტეტის ერთგულება
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარები

სავალდებულო საბუთების ნუსხა:

- პირადობის მოწმობის ასლი
- პასპორტის 2 ფოტო
- რეზიუმე CV (სასურველია ქართულად და ინგლისურად)
  როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი ვერსია
- დიპლომებისა და შესაბამისი სერტიფიკატების ასლები (დიპლომის ასლი ნოტარიულად დამოწმებული)
- კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ასეთების არსებობის შემთხვევაში)
- სამეცნიერო ნაშრომების სია თანდართული ასლებით
- შესაბამისი კურსის/კურსების სილაბუსები (ქართულ და ინგლისურ ენაზე)
- ცნობა ამჟამინდელი ან ყოფილი სამსახურიდან შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში)

დაინტერესებულმა კანდიდატებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ,
2013 წლის 27 მაისიდან 2013 წლის 10 ივნისის 17:00 საათის ჩათვლით, 10:00-დან 16:00-მდე,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცელარიაში,
საკონტაქტო პირი: რუსუდან გოგინაშვილი
მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ N 2, www.ibsu.edu.ge, contact@ibsu.edu.ge, 259 50 05 (111)

ქართული, როგორც მეორე ენა

ისევ რამდენიმე სიტყვა ჩვენი პროგრამის შესახებ

საქართველო არის ესე

ინგა ბაგრატიონი

მოგესალმებით, ჩემო კოლეგებო!

ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ – მომენატრეთ!

ელემენტარულ თავმდაბლობას თუ დავიწყებ, გეტყვით, რომ იმედი მაქვს, ძალიან მოკრძალებული იმედი, რომ თქვენც ელოდით ჩემ გამოჩენას.

ჩვენი პროგრამის „ქართული, როგორც მეორე ენა“ (ხელმძღვანელი – **მაკო ჭილაშვილი**) უმთავრესი მიზანია არა მხოლოდ ქართულის სწავლება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის, არამედ მათი ინტეგრირება ქართულ საზოგადოებაში, ანუ მათ უნდა გაითავისონ, რომ საქართველოს შვილები არიან, რომ მათაც იგივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ ამ სახელმწიფოში, რაც ქართველებს; რომ ეს პარკები, გზები, უნივერსიტეტები, სავაჭრო ცენტრები და, საერთოდ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მათაც ელოდება, მათთვისაც მუშაობს. უნდა იგრძნონ და გაითავისონ, რომ ეს სახელმწიფო ზრუნავს მათზე, როგორც თავის შვილებზე, თავის მიწა-წყალზე დაბადებულებზე და გაზრდილებზე. მათ სხვებისგან არ გამოარჩევს და სწორედ იმისთვის, რომ ისინი ამ სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრები იყვნენ, სჭირდებათ ერთი რამ – ქართული ენის შესწავლა, რადგან თუ ენა არ იცი, საზოგადოების სხვა წევრებთან კონტაქტი შეუძლებელი იქნება.

ჩვენი საქმის მთელი სირთულე იმაში კი არ არის, გავაგებინებთ თუ არა მათ მეორე კავშირებითს და პირველ თურმეობითს, არამედ იმაში, რომ გავაგებინოთ და ვაგრძნობინოთ – ისინიც ამ ქვეყნის შვილები არიან და არა კონკრეტულად იმ სოფლის, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ; ძალიან საფრთხილო სირთულე სწორედ აქ იწყება – გააგებინო, რომ ეს სოფელი, სადაც ისინი დაიბადნენ და გაიზარდნენ, ქართულია, უხსოვარი დროიდან ქართულ სახელმწიფოს ეკუთვნის.

ჩემი დაკვირვებით, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის კი არ უნდა ვუთხრა – ეს მიწაა ჩვენი და ქართული, არამედ ის, რომ თავად არიან ჩვენი, ქართული საზოგადოების წევრები და, თუ ადამიანები ქართული სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრები არიან, მაშინ მიწაც, რომელზეც ისინი სახლობენ, ქართულია და პირიქითაც – ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან იმიტომ, რომ ქართულ მიწაზე სახლობენ.

ყველაზე რთული, მაინც, სამშობლოს ცნებაა. ჩემს კოლეგებს, ჩვენი პროგრამის მასწავლებლებს გვქონდა მსჯელობა ამ საკითხზე – არის თუ არა საქართველო აქ მცხოვრები აზერბაიჯანლებისა და სომხების სამშობლო; ზოგი ამბობდა, რომ არის, რადგან ისინი ასწლეულებია აქ ცხოვრობენ, ზოგი ამბობდა, რომ საქართველო მათი „საცხოვრისია“, სამშობლო კი აზერბაიჯანი და სომხეთია.

ჩემმა ვაჟმა აქაური სომხები ფერეიდნელ ქართველებს შეადარა, რომლებიც საუკუნეებია საქართველოში არ ცხოვრობენ, მაგრამ თავიანთი ქართველობის შენარჩუნებას ყველანაირად ცდილობენ. ესენიც ასე არიანო, ანუ მათი სამშობლო უფრო სომხეთია, ვიდრე საქართველოო...

მე კი იანგული მახსენდება თავისი ჰელადოსით, სამშობლო გულზე გაკეთებული წარწერა არ არის, ის უფრო ღრმაა. მაგრამ იანგული, ჩემი თანასოფლელებისაგან განსხვავებით, მაინც უფრო ქართველი იყო, ვიდრე ბერძენი, ის ქართული საზოგადოების, „ვენეციის გზატკეცილის“ სრულუფლებიანი წევრი იყო და ამ სრულუფლებიანობას, პირველ რიგში, ენის ცოდნა განაპირობებდა.

...იანგული – ბატონი ნოდარის საკუთრებაა... მე ჩემი მოსწავლეები გამახსენდა.

მე, მოგეხსენებათ, განათლებით რუსულის ფილოლოგი გახლავართ. განათლება ბელორუსიაში, მინსკში მაქვს მიღებული და ოც წელზე მეტი სწორედ რუსულ სკოლაში სომხებს, ბერძნებს, რუსებს, უკრაინელებსა და ქართველებს ვასწავლიდი რუსულ ლიტერატურას, ენას. მათ ისევე უყვართ ეს ენა და ამ ენაზე შექმნილი მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, როგორც მე...

მაგრამ საინტერესო ცოტა სხვა რამაა. რუსულის გაკვეთილებზე ჩვენ, რატომღაც, თავისთავად გამოგვდიოდა ქართული მენტალობის გაღვიძება და გაღვივება. ხშირად ვსაუბრობდით იმაზე, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეროვნებით არ არიან ქართველები, მაინც ამ ქვეყნის, ამ მიწაწყლის შვილები არიან და მუდამ ქართველებად დარჩებიან. და ეს ასეც იყო, რადგან იანგულის არ იყოს, მათი სამშობლო იყო ქართველი მეგობრები, ქართველი მეზობლები, ქართველი შეყვარებულები. რუსეთში სასწავლებლად წასული ჩემი რუსი მოსწავლე ამბობდა – პირველ წელს დავიღალე იმის მტკიცებით, რომ მე რუსი ვარ, შემდეგ დავანებე თავი და ყველას ვეუბნები: დიახ, მე ქართველი ვარ! ჩემმა ბერძენმა მოსწავლემ, რომელიც საბერძნეთში იყო წასული სამუშაოდ (როგორც ბევრი ქართველი), კითხვაზე – რას შვრები, როდის მიდიხარ შენს ისტორიულ სამშობლოში-მეთქი? ასე მიპასუხა – რას ამბობთ, იქ რა მინდა? ჩემი სამშობლო საქართველოა! ჩემი სომეხი მოსწავლე, რომელმაც პირველ განახლებულ ეროვნულ ოლიმპიადაზე ბევრ ქართველს აჯობა და ქართულში მეორე საპრიზო ადგილი აიღო, ეროვნულ გამოცდებზე ყველა საგანი ქართულად აბარა და დღეს ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტია, ბრაზობს იმის გამო, რომ მისი ნათესავები, რომლებიც ჯავახეთში ცხოვრობენ, ისეთი სინანულით ამბობენ – ჯავაკს, თითქოს ეს მათი დაკარგული ტერიტორიები იყოსო...

ანუ, ფაქტი რჩება ფაქტად, ნებისმიერი არაქართველისთვის საქართველო არის სამშობლო, როგორც ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ, ჩვენი პროგრამის წევრმა **ნათია მანიამ** დაწერა თავის ჩანახატში – „არიან ქართველი არაქართველები, რომლებსაც აქაურობა ყველაფერს ურჩევნია...“ ვფიქრობ, რომ ქართველი არაქართველების ქართველობას, ისევ და ისევ, ენის ცოდნა განაპირობებს

ამიტომ გვჭირდება ჩვენი პროგრამის პედაგოგებს დახმარება, აუცილებლად და უპირობოდ უნდა შესრულდეს განათლების კანონის შესაბამისი მუხლი, სადაც უკვე 7 წელზე მეტია წერია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებები არაქართულენოვან სკოლებში ქართულად უნდა ისწავლებოდეს. სანამ ეს მუხლი ოფიციალურად არ არის ამოქმედებული, საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლის ფუნქციას ჩვენი პროგრამის „ქართული, როგორც მეორე ენა“ მასწავლებლები ვითავსებთ.

* * *

ბევრს ახსოვს, ალბათ, ცნობილი რუსული საბავშვო სიმღერა „საიდან იწყება სამშობლო“...

ეზოდან, წიგნებიდან, ქუჩიდან, მერხიდან.

ანუ იქიდან, რაც შენთვის ყველაზე ახლოა, რაც ბავშვობიდან იცი, რაც ბავშვობიდან გახსოვს.

წლების შემდეგ, უფრო სერიოზულად დავფიქრდი იმაზე, რა არის სამშობლო და მივხვდი – ჩემი სამშობლო არ იწყება ბათუმით და არ მთავრდება თბილისით!

ჩემი სამშობლოა ყველა ის გზა, ყველა ის მთა, ყველა ის სოფელი, სადაც ოდესმე ყოფილა ქართველი კაცი – უცხოვრია, უშენებია, ულოცავს, სისხლი დაუღვრია და სამშობლო დაუცავს.

როცა პირველად მოვხვდი გზაზე, რომელიც, როგორც ისტორიის სახელმძღვანელო, გადაიშალა ჩემ თვალწინ – ტაშისკარი, ასპინძა, ხერთვისი – მივხვდი, ვიგრძენი, რომ საქართველო არის ესე! ეს არის სამშობლო, როცა, ყოველი ახალი წარწერის წაკითხვისას, გზაზე, ყელში ბურთი გაწვება და გახრჩობს, თვალებზე კი მოღალატე ცრემლს გრძნობ, რადგან იცი, რომ ეს მიწაც წინაპრების სისხლითაა გაჟღენთილი, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მთაზე ქართველების სისხლით იწერებოდა საქართველოს ისტორია და ყალიბდებოდა საქართველო, როგორც სახელმწიფო!

და შენ რწმუნდები, რომ „საქართველო არის ესე!“ და რაოდენ დამაბნეველია, როცა ამ უძველესი ქართული მიწის დიდ ნაწილზე ქართველი კაცი აღარ ცხოვრობს, ქართული სიტყვა აღარ ისმის, ქართული წირვა აღარ აღევლინება...

აქ ჩამოსვლის პირველი დღიდან მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, რაც შეიძლება ბევრი ქართველი ჩამოვიდეს ამ ჩემს სოფელში, არწივებთან და ღმერთებთან ახლოს, რომ გრძნობა სრული იზოლაციისა, რომელიც ამ სოფელში სუფევს, განელდეს! უფრო მეტი იყოს სტუმრიანობა, უფრო ხშირად ჟღერდეს ქართული სიტყვა, ქართული ლექსი, ქართული სიმღერა...

...იმის გამო, რომ მაღალ კლასებს ვასწავლი, პატარ-პატარა საბავშვო ღონისძიებები არ პასუხობენ ჩემს ამბიციებს და მოთხოვნებს. ამიტომ, პირველივე სტროფები, რომლებიც ჩემს მოსწავლეებს ვასწავლე, იყო :

„შენ ჰე ფარნავაზ, ჰქმენ ერთმთავრობა,
შენ მიეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა ნიჭი და ძალი.”

ძნელია, როცა ყოველი სიტყვის ახსნა და განმარტება გიწევს, მაგრამ ამასთან მეტად საინტერესო და საპასუხისმგებლო. იმისათვის, რომ მოსწავლემ გაიგოს ერთი სტროფის აზრი, თითქმის მთელი საქართველოს ისტორია უნდა მოუყვე! თითქმის ყველა სიტყვა ფონემების დონეზე უნდა გაარჩიო და ორთოეპიული სავარჯიშოები გააკეთებინო, რათა სწორად წარმოთქვან: „ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი“!

ბევრჯერ დამწყდა გული იმის გამო, რომ მე მათი ენა არ ვიცი, მათ კიდევ ჯერ იმ დონეზე არ იციან ქართული, რომ მთელი სიღრმე და სიმდიდრე იგრძნონ ქართული სიტყვისა, ემოცია ამ სიტყვისა შეიგრძნონ და გაითავისონ. თუმცა, ემოციას, ალბათ, ყველაზე ადრე გებულობენ, რადგან მასწავლებლის ემოცია გადამდებია და ემოციების ენა – ინტერნაციონალური ან მულტილინგვისტური, როგორც დღეს ვამბობთ.

სულ ვფიქრობ, ნუთუ მივაღწევ იმას, რომ ამ ბავშვებს ისე ველაპარაკო ქართულად, როგორც ჩემს ქართველ მოსწავლეებს, რომ მათ გაიგონ ყველაფერი, რასაც ვეუბნები? ძალიან მინდა, მაგრამ... ვნახოთ!

* * *

წინა წერილში მოგახსენეთ ჩვენი ვიზიტის შესახებ აჭარაში, ჩაქვის №1 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ტარიელ ქათამაძე**) გასული წლის ნოემბერში. შემდეგ მთელი წელი ბავშვები ელოდნენ თავიანთი ქართველი მეგობრების სტუმრობას. მთელი წელი ჰქონდათ ერთმანეთთან მიმოწერა ინტერნეტით. ზოგიერთი მათგანი კი, ქართულში მიცემულ დავალებას გასაკვირად კარგად აკეთებდა და, როცა ვეკითხებოდი, როგორ გააკეთე-მეთქი, ეღიმებოდათ – ჩემი მეგობარი დამეხმარა ჩაქვიდანო, ანუ ინტერნეტით უკვე საშინაო დავალებებსაც აკეთებდნენ.

ჩაქვის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჯგუფი, 5-6 მაისს, გვეწვია სოფელში, გიორგობა დღეს. ჩაქვიდანაც ჩემი მოსწავლეები ჩამოვიდნენ, ისინი, ვისაც ერთი წლის წინ ვასწავლიდი: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“ იმათაც ჩამოიტანეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია საქართველოზე (ხელმძღვანელი – ისტორიის მასწავლებელი **ლელა კონცელიძე**) და ჩვენც დავახვედრეთ ჩვენი კომპოზიცია სახელწოდებით – „საქართველო არის ესე!“.

სტუმრად გვყავდნენ ახალქალაქის რაიონის მესვეურები, ასევე ადამიანი, რომლის სახელს ახალქალაქში ყველა დიდი მოწიწებით მოიხსენიებს – **სამველ პეტროსიანი**, რომელიც 2008 წლის აგვისტოში საფრანგეთში ისვენებდა მეგობრებთან ერთად და ძალიან კარგად გრძნობდა თავს, მაგრამ პირველივე საგანგაშო ცნობის გაჟღერებისთანავე, საფრანგეთის სომხების თხოვნის მიუხედავად, მათივე შეკრებილი ფულით, ერევნის გავლით, ჩამოვიდა საქართველოში და დადგა იქ, სადაც იდგა ყველა ქართველი – საკუთარი სამშობლოს, საქართველოს სადარაჯოზე. მისმა მონათხრობმა და მისმა დარიგებამ, რაც სამშობლოს სიყვარულსა და იმ მიწის პატივისცემას ეხებოდა, რომელზეც ცხოვრობ, ძლიერი მუხტი დატოვა დარბაზში.

ჯავახეთის მიწაზე, სომეხი მოსწავლეების მიერ, ქართულად წარმოთქმულ სიტყვებს „საქართველო არის ესე“, დამერწმუნეთ, ძალიან დიდი ძალა და ემოციური დატვირთვა აქვს, ამას ჩემი ჩაქველი კოლეგების ძლივს შეკავებული ცრემლებიც ადასტურებდნენ.

ყველა სიტყვა, ყველა ფრაზა, რომელსაც ჩემი სომეხი მოსწავლეები ამბობდნენ, ბოლომდე გააზრებული და გათავისებული ჰქონდათ. ამიტომ ჟღერდა მათი სიტყვები ასე დამაჯერებლად და გულწრფელად. სწორედ ამიტომ თქვეს ჩვენმა სტუმრებმა, ნამდვილად გაგვიჭირდა გაგვერჩია, რომლები იყვნენ ქართველები და რომლები – სომხებიო.

ის დღე ქართული ცეცხლოვანი ცეკვებით დამთავრდა, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა ჩემი ალასტანელი მოსწავლეები. ეს უკანასკნელნი კი, ცდილობდნენ თავიანთი ძალით გაეკვირვებინათ ჩაქველები და ამას იოლად მიაღწიეს, რადგან ჯავახეთის მთების შვილებს ზღვისპირზე გაზრდილმა ბიჭებმა მხოლოდ ცეკვაში აჯობეს. გაოცებულები მორბოდნენ ჩემთან იმის საკითხავად, თუ საიდან აქვთ ასეთი ძალაო. ეჰ! რაც ამათ შრომა და ჯაფა აწევთ, ძლიერები და დაკუნთულები იქნებიან, აბა რა! – იყო ჩემი პასუხი.

მეორე დღეს კი, ყველანი ერთად ვესტუმრეთ ვარძიას. შეიძლება სირცხვილია ამის აღიარება, მაგრამ მე პირველად ვიყავი ვარძიაში. და აქ ისევ ვიგრძენი, როგორ შემეკუმშა გული, რაღაც გამეჩხირა ყელში. ჩემს თავს შემოვუძახე: ბავშვი ხომ არ ხარ, რა ამბავია ამდენი სენტიმენტი-მეთქი. მაგრამ, როცა თამარის ფრესკის წინ აღმოვჩნდი... რის შეძახილი, რა შეძახილი. რაღაც გაიხსნა შიგნით, ყველა დაკეტილი სახრახნისი მოეშვა და მიუშვა... ცრემლები თავისით, დაუკითხავად მოდიოდნენ და მოდიოდნენ.

– ალბათ როგორ გიყვარდა ეს კუთხე... განსაკუთრებით!

– შენი შვილიც კი ამ მხარეს მოაბარე, ნამდვილ ვაჟკაცად რომ გაზრდილიყო.

– შენ დანამდვილებით იცოდი, რომ საქართველო არის ესე!

– ახლა, ალბათ, როგორ გტკივა გული, როცა ქართველებისაგან თითქმის დაცლილს ხედავ ჯავახეთს!

– ახლა, ალბათ, როგორ ბრაზობ, როცა მავანნი ეჭვქვეშ აყენებენ იმას, რომ „საქართველო არის ესე!“

* * *

მე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი დიდი თამარის წინაშე, დედა თამარის წინაშე, მეფე თამარის წინაშე იმისათვის, რომ აქამდე ჩემთვის ჯ ა ვ ა ხ ე თ ი მხოლოდ სიტყვა იყო და მეტი არაფერი.

და არ იფიქროთ, რომ მხოლოდ ჩემს სომეხ მოსწავლეებს ვასწავლი, რომ „საქართველო არის ესე“... მე ჩემს ქართველ მოსწავლეებსაც ვასწავლი, რომ „საქართველო არის ესე“; ჩემს მეგობრებს, ჩემი ოჯახის წევრებს, შვილებს და... საკუთარ თავს ვასწავლი, რომ „საქართველო არის ესე“! რომ ეს არის ჩვენი სამშობლო.

სწორედ ამისთვის დიდი მადლობა ჩვენს პროგრამას – „ქართული, როგორც მეორე ენა“, სწორედ ამისთვის, რომ მე ვიცი, სამშობლო არ არის მხოლოდ ის, რაც გიყვარს და გენატრება, არამედ ისიც, რაც ყრუდ და ჩუმად გტკივა.

ორგანიზატორი

Akademi Group

მედია მხარდაჭერა

IPN
ინტერპრესნიუსი

PALITRA TV-RADIO

თურქეთის უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო გამოფენა

ინფორმაცია და ონლაინ რეგისტრაცია

www.akademifair.com

ინფორმაცია

მათ ერთი დიდი საფიცარი აერთიანებდათ...

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ და სსიპ კინოცენტრმა „აფხაზეთმა“ ქართული სახელმწიფო პოლიტიკის „ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის ამაღლების“ მხარდაჭერის მიზნით, ქართული ენის დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში (14-19 აპრილი), განახორციელეს პროექტი „ვამრავლოთ მამულში სიტყვა-ქართული“.

პროექტში აფხაზეთის ა/რ №2 და №3 საჯარო სკოლები და სახელოვნებო სკოლა „აფხაზეთი 1“-ის მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ აფხაზი ეროვნების, ბოლნისის რაიონის სოფლების – მამხუტისა და არქევნის აზერბაიჯანულენოვანი საჯარო და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის (ისტორიული ჰერეთი) საშუალო სკოლების მოსწავლეები.

კვირეულს უმასპინძლა ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტის საჯარო სკოლამ და თბილისში – ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა. ქართველი და საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი ერის ურთიერთობის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაიწერა. მათი მეგობრობის ისტორია კი ასე დაიწყო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2007 წელს „სასკოლო პარტნიორობის ღონისძიების“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, პროექტში ჩაერთნენ თბილისში განთავსებული აფხაზეთის ა/რ საჯარო და კონფლიქტის ზონაში (გალის რაიონი) მოქმედი ოტობაიის №1 საშუალო და პარტნიორი, სოფელ მამხუტის საჯარო სკოლის მოსწავლეები. პროექტი მიზნად ისახავდა სასკოლო თემების ერთმანეთთან დაახლოებასა და შემდგომ თანამშრომლობას.

პროექტი სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და დღესაც გრძელდება. აფხაზეთის ა/რ და მამხუტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, 2010 წელს, განახორციელა პროექტი „საჯარო სკოლების სოციალური ინტეგრაცია“. აღსანიშნავია ქართული ენის ზეიმი, 2010-2012 წლებში, მამხუტსა და იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელ ვარიანში, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო. პროექტში ჩაერთნენ ისტორიული ჰერეთის – კახის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები.

2013 წლის 14-19 აპრილი. წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებები: კონკურსები ლიტერატურაში, ქართულ კალიგრაფიასა და ხატვაში.

18 აპრილი. კვირეულს მასპინძლობდა სოფელ მამხუტის საჯარო სკოლა. ეზოში უამრავი ხალხი დაგვხვდა. მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები გულთბილად, ტაშითა და ქართული შეძახილებით დახვდნენ პროექტის მონაწილეებს.

ღონისძიებამ სკოლის დარბაზში გადაინაცვლა. იქ ქართული სული ტრიალებდა. თვალს ახარებდა კედლებზე გაკრული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების სურათები, სლოგანები – „მე მიყვარს ქართული ანბანი“, „14 აპრილი ქართული სახელმწიფო ენის დაცვის დღეა“, ფოტოგამოფენა „აფხაზეთი გუშინ და დღეს“, მოლბერტზე ლამაზად გამოეფინათ ქართული კალიგრაფიის ნიმუშები.

პროექტი გულთბილი მისალმებებით დაიწყო. ღონისძიება გახსნა მასპინძელი სკოლის დირექტორმა **გიას ბადალოვმა**.

დაიწყო პროექტით გათვალისწინებული სასწავლო, მუსიკალური და შემოქმედებითი ღონისძიებები. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მამხუტელი, არქევნელი, ჰერელი და აფხაზეთიდან დევნილი ქართველი და აფხაზი ეროვნების მოზარდები. პარალელურად მიმდინარეობდა ვორქშოფი, რომელსაც კალიგრაფიის კონკურსებში მრავალგზის გამარჯვებული **ლეილა ბაღბაია** უძღვებოდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი **ელგუჯა გვაზავა**, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი, ბატონი **ალექსანდრე აპლაკოვი**, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი, ბატონი **რევაზ გერგედავა**, აფხაზეთის მთავრობის აპარატის მასმედიასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონი **ნინო კვარაცხელია**, ბოლნისის რაიონის გამგებლის მოადგილე, ბატონი **ხალადიდ ისმაილოვი**, ბოლნისის რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი **ირმა კოპალიანი**, სოფლების მამხუტისა და ქვემო არქევანის საჯარო სკოლების დირექტორები – **გიას ბადალოვი** და **ანვარ შირინოვი**, პრესა და ტელევიზია.

ელგუჯა გვაზავა: *სიმბოლურია, რომ ღონისძიება დაემთხვა მსოფლიო ჩართულობის დღეს. დედაენის კვირეულში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კუთხისა და ეროვნების მოზარდებმა, რომლებიც ქართული ენის სიყვარულმა გააერთიანა. საინტერესო და მრავალფეროვანი იყო ქართველი, ისტორიული ჰერელი, აფხაზი და აზერბაიჯანელი მოზარდების მიერ წარმოდგენილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები. ეს ღონისძიების ორგანიზატორების უდიდესი ძალისხმევის შედეგია. დიდი მადლობა მათ.*

ალექსანდრე აპლაკოვი: *აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კარგად აქვს გათავისებული თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებში ქართული ენის ცოდნის განმტკიცებას და ინტეგრირებას ქართულ მოსახლეობასთან (განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის) მათთან მშვიდობიანი თანაარსებობის მიზნით. ჩვენ ვიცით მშვიდობის ფასი, რის გამოც აქტიურად ვუჭერთ მხარს ყველა პროექტს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან დამეგობრება-დაახლოებას. დღევანდელი პროექტიც ამის დასტურია. აზერბაიჯანელი მოზარდების ქართულ ენაზე ამეტყველება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი სწორი გზაა, დიდი მადლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს პროგრამისათვის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“. ეს პროექტი უდიდესი მნიშვნელობისაა. აფხაზეთში, თავის დროზე, მსგავსი პროექტები რომ განხორციელებულიყო, დარწმუნებული ვარ, კონფლიქტი არ წარმოიქმნებოდა ქართველსა და აფხაზს შორის.*

გიას ბადალოვი: *ჩვენს მეგობრობას აფხაზეთის სამინისტროსთან, აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლასთან და აფხაზ და ჰერელ მოსწავლეებთან დიდი ხანია საფუძველი ჩაეყარა. ჩვენ სიხარულითა და პატივისცემით ვხვდებით მათ ყოველ წამოწყებას და მზად ვართ, ერთად განვახორციელოთ მრავალი პროექტი, რომელიც ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეების მეგობრობასა და მშვიდობიან თანაარსებობას შეუწყობს ხელს. ნიშნად მეგობრობისა, სათუთად ვუვლით მეგობრობის ფარდას, რომელიც აფხაზეთიდან დევნილმა და აზერბაიჯანელმა მოსწავლეებმა ერთად შეკერეს, და ხეებს, რომელიც ერთად დარგეს. ჩვენ გვიყვარს საქართველო და ქართველი ხალხი.*

ხალადიდ ისმაილოვი: *საინტერესო, საქმიანი და სასწავლო პროექტები იქნა წარმოდგენილი ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეების მიერ. მიხარია, რომ აზერბაიჯანელი მოსწავლეები გულდასმით ეუფლებიან ქართულ ენას, ლაპარაკობენ და წერენ თავისუფლად. ჩვენ მუდამ დავდგებით მათ გვერდით.*

ირმა კოპალიანი: *ბოლნისის რესურსცენტრი მიესალმება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულ პროგრამას „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“. პროექტის ფარგლებში მამხუტის სკოლაში მუშაობს თეიმურაზ შალამბერიძე. მისი დაუზოგავი შრომის შედეგად, მამხუტელი მოსწავლეები და მასწავლებლები სიყვარულით ეუფლებიან ქართულ ენას. გვჯერა, რომ სულ მალე ენობრივი ბარიერი გადაილახება და ქართველი და აზერბაიჯანელი შეძლებს ისაუბროს სახელმწიფო ქართულ ენაზე.*

თეიმურაზ შალამბერიძე, მამხუტის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *დიდი შრომა დამჭირდა აზერბაიჯანელ მოზარდებში ქართული ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. სამუშაო კიდევ ბევრია, მთავარია, რომ აინტერესებთ საგანი და მიუღწეველიც არაფერია. მოსწავლეებმა შეიყვარეს აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები. შეიყვარა მთელმა სოფელმა. დედაენის დღე აქ საყოველთაო ზეიმად იქცა, ამ დღეს ახლომდებარე სოფლებიდან მოსახლეობა ფეხით ამოდის ღონისძიებაზე დასასწრებად. მიხარია, რომ პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვარ.*

ნათია გოგიაშვილი, არქევნის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *ქართული ენის დაცვის დღისადმი მიძღვნილ კვირეულში არქევნის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც ჩაერთნენ. ისინი დიდი მონდომებით სწავლობდნენ ქართველ საბავშვო პოეტთა ლექსებს. სიამოვნებით ჩავერთე პროექტში. მინდა ვამრავლო მამულში სიტყვა-ქართული.*

ლეილა ბაღბაია, პროექტის ორგანიზატორი: *მიუხედავად იმისა,რომ საჯარო სკოლებთან სასწავლო-შემოქმედებით პროექტებს ხშირად ვახორციელებთ, მაინც ვღელავდით. პროექტის განსახორციელებლად უდიდესი ძალისხმევა დაგვჭირდა. საინტერესო და შინაარსობრივად დატვირთული გამოვიდა. კვირეულს მეტი ელფერი შეჰმატეს ჰერელმა მოსწავლეებმა. მშობლიურ, ქართულ ენას დანატრებული ჰერელები მზად არიან ჩაერთონ მსგავს პროექტებში და დადგნენ დედაენის დაცვის სადარაჯოზე.*

მაყვალა ჯანაშვილი, კახის საშუალო სკოლის პედაგოგი: *აფხაზეთის საჯარო და კახის საშუალო სკოლებს საერთო ტკივილი გვაკავშირებს – ორივეგან შეზღუდულია ქართული ენის სწავლება. მესმის აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის ტკივილი, ძნელია, ცხოვრობდე საქართველოში და გეკრძალებოდეს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. პროექტი „ვამრავლოთ მამულში სიტყვა-ქართული“ ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია. დიდ მადლობას ვუხდი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, პროექტის ორგანიზატორებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მშვიდობისათვის ერებს შორის, ერთიანი, ძლიერი საქართველოსთვის.*

ლეილა თორია, პროექტის ორგანიზატორი: *ვუსმენდი და ვტკებებოდი აზერბაიჯანელი მოზარდების გამოსვლებით. ძალიან დიდი პროგრესია წინა წლებთან შედარებით. მახსოვს, რა სირთულეებს ვაწყდებოდით ენობრივი ბარიერის კუთხით მოსწავლეებთან ურთიერთობაში. ალბათ, ჩვენც შევიტანეთ მცირეოდენი წვლილი ამ საქმეში.*

ემოციებით იყო დატვირთული ჰერეთის მკვიდრის, საზოგადოება „ქურმუხელის“ დამფუძნებლის, პოეტ **ზაზა სუყაშვილის** გამოსვლა. მის მიერ გრძნობით წაკითხულმა ლექსმა „...ქვეყნად გამჩენო, დაკარგული ყველა მტკაველი, ნეტავი პეშვით სამშობლოში მიმატანინა...“ აფხაზეთიდან დევნილებს ტკივილი გაგვიახლა, აფხაზეთი – მშობლიური კუთხე გაგვახსენა, დღეს საქართველოდან მოგლეჯილი და გაგვრანებული...

ღონისძიების დასასრულს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა, ბატონმა ალექსანდრე აპლაკოვმა კვირეულის ფარგლებში ჩატარებული კონკურსების მონაწილეები დიპლომებით დააჯილდოვა, ხოლო სკოლას სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

დასრულდა პროექტის მეხუთე დღე. პროექტის მონაწილეები ერთმანეთს შეხვდნენ 19 აპრილს, თბილისში, სადაც ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა უმასპინძლა. მათ დაათვალიერეს გამოფენა სახელწოდებით „ჩემი დედაენა“. მოსწავლეები გაეცნენ „დედაენის“ აფხაზურ და ქართულ გამოცემებს. დაინტერესდნენ რომში გამოცემული პირველი ქართული ანბანის ნიმუშებით. დაესწრნენ კომპიუტერული პროგრამის – „ჩემი შექმნილი წიგნის“ ჩვენებას.

ღონისძიებას დაესწრო აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვახტანგ ყოლბაია**. ღონისძიებას უძღვებოდა ბატონი **ბუბა კუდავა** – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი.

ბუბა კუდავა: *დიდი სიყვარულით ვმასპინძლობთ ქართველ, აფხაზ, ჰერელ და აზერბაიჯანელ მოზარდებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მოწყობილ გამოფენაზე „ჩემი დედაენა“. ვფიქრობ, მათთვის მეტად საჭირო და საინტერესო იქნება აქ გამოფენილი მასალები, რომელიც „დედაენის“ შექმნას უკავშირდება. გამოფენა საინტერესოა იმითაც, რომ აქ დაცულია სხვადასხვა მასალა დიდი იაკობის არქივიდან.*

ვახტანგ ყოლბაია: *სახელმწიფო ქართული ენის დაცვის დღისადმი მიძღვნილმა კვირეულმა საინტერესოდ ჩაიარა. დიდ მადლობას ვუხდი აფხაზეთის ა/რ განათლების და კულტურის სამინისტროს და პირადად ბატონ ალექსანდრე აპლაკოვს, ასევე პროექტის ორგანიზატორებს.*

მივესალმები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სხვადასხვა ეროვნების მოზარდთა სტუმრობას. ისინი გაეცნენ ახალ სამყაროს, გაეცნენ იმ საგანძურს, რომელიც ქართველს დიდი რუდუნებით საუკუნეების განმავლობაში უგროვებია. მე ვურჩევ მათ, ხშირად ეზიარონ დიდი სიყვარულითა და მოწიწებით დაცულ განძს. მადლობას ვუხდი ბატონ ბუბას უმდიდრესი ქართული სულიერი საგანძურის მოვლისა და გაფრთხილებისათვის.

ღონისძიების დასასრულს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა პროქტის მონაწილეებს.

დამთავრდა დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული იმ რწმენით, რომ პროექტის მონაწილეები კვლავ ერთად იზეიმებენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ისტორიულ ჰერეთში, რადგან მათ ერთი დიდი საფიცარი აერთიანებთ, საქართველო და „ცისფერი, ლაზური სისხლით ნაწერი“ ქართული ანბანი.

მედეა ზუხბაია

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ამერიკელი პროფესორები ოპტიმისტები არიან, ავსტრიელები კი – პესიმისტები

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

– თამთა, შენ შესახებ საუბარი მოსწავლეობის პერიოდიდან დავიწყოთ...

მეთერთმეტე კლასამდე ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლაში ვსწავლობდი. ბოლო წელს სასწავლებლად მე-13 საჯარო სკოლაში გადავედი. წარმატებული მოსწავლე ვიყავი, სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და ასპროცენტიანი დაფინანსებაც მოვიპოვე. ჩავირიცხე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

– გაცვლითი პროგრამით სასწავლებლად ამერიკაში იყავი. როგორც ვიცით, საქართველოში არსებული გაცვლითი პროგრამები სტუდენტებს კონკურსში მონაწილეობას, გამარჯვების შემთხვევაში კი, საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებას სთავაზობს. კონკურსანტთა რაოდენობა მაღალია, განსხვავებულია შერჩევის კრიტერიუმები. შენ შემთხვევაში როგორ მოხდა?

მეორე კურსზე ვიყავი, როცა ჩემმა მეგობარმა გაცვლითი პროგრამის შესახებ მითხრა – Global UGRAD, რომელსაც IREX აფინანსებს და ერთი წლით ამერიკაში სწავლას გულისხმობს. ბავშვობაში საზღვარგარეთ სწავლაზე ყოველთვის ვოცნებობდი, მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ამის განხორციელებას რეალურად შევძლებდი. გადავწყვიტე, ბედი მეცადა. კონკურსი რთული იყო, სამი ეტაპისგან შედგებოდა: აპლიკაცია (ზოგადი ინფორმაცია, სამი თემა); გასაუბრება; TOEFL. კონკურსანტთა შერჩევის პროცედურა დროში ძალიან გაიწელა, მე კი თითქმის ყოველდღე ველოდი როდის დამირეკავდნენ. არ ვიცი ამას რა ჰქვია, წინათგრძნობა? მაგრამ ვიცოდი, რომ აუცილებლად დამირეკავდნენ და მართლაც დამირეკეს, მითხრეს, რომ მეორე ტურში გადავედი. გასაუბრებას თბილისში, ინგლისურ ენაზე ამერიკელები ატარებდნენ, ძალიან ვნერვიულობდი. ვიცოდი, რომ ეს შანსი აუცილებლად უნდა გამომეყენებინა და ამერიკელები დამერწმუნებინა, რომ ზუსტად მე უნდა ავერჩიე. გაცვლითი პროგრამის ამ კონკურსში 400-მდე აპლიკაცია იყო შესული, საქართველოს მასშტაბით. გასაუბრებამ წარმატებით ჩაიარა. რამდენიმე ხნის შემდეგ დამირეკეს და მესამე ტურში გადასვლა მაცნობეს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ ექვს იღბლიან ადამიანთა შორის მეც (ერთი სტუდენტი ქუთაისიდან) აღმოვჩნდი და ამერიკაში, ერთი წლით, სასწავლებლად გავემგზავრე.

– მიამბე ამერიკული უნივერსიტეტის შესახებ, მისი ისტორია, რა ღირს სწავლა, რა პროფესიას დაეუფლე, როგორ გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის და რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, შენ შემთხვევაში როგორ იყო?

ამერიკაში მინესოტას შტატში – St. Catherine University-ში ვსწავლობდი. ეს არის კერძო, კათოლიკური, ქალთა უნივერსიტეტი. სწავლისა და ცხოვრების ხარჯები მთლიანად დაფინანსებული იყო პროგრამის მიერ, თვიურ სტიპენდიასთან ერთად.

უნივერსიტეტში ერთი წელი ვეუფლებოდი პროფესიას – „განათლების სისტემა“.

წმინდა კატარინას უნივერსიტეტი დაფუძნდა 1905 წელს, სენტ პოლში, St. Joseph of Carondelet-ის დების (მონაზვნების) მიერ და წმინდა კატარიანას სახელს ატარებს, რომელიც ეგვიპტელი იყო და ეწამა თავისი რწმენის გამო.

– ამერიკიდან სასწავლებლად ევროპაში, კერძოდ ავსტრიაში გაემგზავრე...

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ვგრძნობდი, როგორ მიხმობდა ევროპა. სწორედ ამ პერიოდში შევიტყვე სხვა გაცვლითი პროგრამის Alrakis ERASMUS შესახებ. სიმართლე გითხრათ, მეგონა მეორედ აღარ გამიმართლებდა, მაგრამ მაინც ვცადე. აპლიკაცია ინტერნეტით იყო შესავსები. უნდა დამეწერა სამოტივაციო წერილი, გამეგზავნა სარეკომენდაციო წერილები და ნიშნების ფურცელი. რატომღაც პასუხს აქაც დააგვიანდა. ერთ დღესაც, როცა ვებგვერდს ვამოწმებდი, აღმოჩნდა, რომ გამარჯვებულთა შორის ვიყავი. ამ კონკურსში მე და ჩემმა მეგობარმა გავიმარჯვეთ და ავსტრიაში სასწავლებლად ერთად წავედით.

ვსწავლობდით ქალაქ გრაცის უნივერსიტეტში. ეს არის უზარმაზარი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ყოველწლიურად 1000-მდე საერთაშორისო სტუდენტს მასპინძლობს. ხუთი თვის განმავლობაში ვსწავლობდი „ინგლისურ ენასა და ლიტერატურას“.

– რა შეგიძლია მიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ... აქვე მინდა ისაუბრო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე

ამერიკაშიც და ავსტრიაშიც ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტის ინდივიდუალურ მუშაობას. დიდი განსხვავება იყო ლექციასა და სემინარს შორის. ლექციას ლექტორი გვიკითხავდა და დასრულებისას შეგვეძლო იმ საკითხებზე დაგვესვა შეკითხვები, რაც გაუგებრად გვეჩვენებოდა. სემინარების დროს ლექტორი პასიური იყო, სამაგიეროდ სტუდენტებს გვქონდა დისკუსიები და პრეზენტაციები.

ამერიკულ და ევროპულ სასწავლებლებს შორის ბევრი მსგავსებაა, თუმცა განსხვავებაც არსებობს. საერთო ის აქვთ, რომ სტუდენტი დამოუკიდებლად მუშაობს. ჩემი ერთ-ერთი ავსტრიელი ლექტორი ამბობდა, ჩემი მოვალეობაა ფაქტები მოგაწოდოთ, დასკვნები კი თქვენ თვითონ უნდა გამოიტანოთო. სტუდენტებისგან მოითხოვდნენ აზროვნებას, აზრის დაფიქსირებას, ყველანაირი შეხედულება თანაბრად იყო დაფასებული, არ არსებობდა სწორი და არასწორი შეხედულებები. მსგავსებაა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წერას. აზრების ჩამოყალიბება უნდა შეგვძლებოდა როგორც დისკუსიებში, ასევე წერილობითი გზითაც. მთავარი განსხვავება, რაც მე შევამჩნიე, ის არის, რომ ამერიკელი პროფესორები ოპტიმისტები არიან, ავსტრიელები კი – პესიმისტები. ამერიკელი ლექტორები პირველივე ლექციაზე დარწმუნებულები იყვნენ, რომ სემესტრი წარმატებული იქნებოდა თითოეული სტუდენტისთვის, ავსტრიელი ლექტორები კი სულ იმის მტკიცებაში იყვნენ, გამოცდას ნახევარზე მეტი ვერ ჩააბარებსო. მოკლედ, ამერიკაში და ავსტრიაში სწავლა რთული იყო, თუმცა ამერიკაში უფრო პოზიტიური, მოსვენებული სიტუაცია იყო, ავსტრიაში კი – მუდმივად დაძაბული.

ამერიკაში

ავსტრიაში

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს უდიდესი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. ძირითადად, ბიბლიოთეკაში ვმეცადინეობდით, რადგან სწავლისთვის კარგი გარემოა შექმნილი – სიჩუმე, უფასო ინტერნეტი, წიგნები. თან ირგვლივ ყველა მეცადინეობს და შენც უფრო მოტივირებული ხარ, რომ ისწავლო.

– სწავლის პერიოდში, ხომ არ მოგიწია სასწავლებლიდან რომელიმე ქვეყანაში წასვლა? როგორც ცნობილია, ასეთ სასწავლებლებში სამოგზაურო ტურები ეწყობა

სასწავლებლიდან არა, მაგრამ ავსტრიაში ყოფნისას ჩემმა მეგობარმა, ვისთან ერთადაც ვცხოვრობდი, თავის სამშობლოში – სლოვენიაში წამიყვანა. დავათვალიერეთ ორი ქალაქი – მარიბორი და პტუი. ძალიან ციოდა, მიუხედავად ამისა, ძალიან ვისიამოვნე, გავიცანი სლოვენიელი სტუდენტები. მათთან ერთად კარგი დრო გავატარე. საქართველოს შესახებ ბევრი რამ ვუამბე და ქართული სუფრის ტრადიციებიც გავაცანი, რაც ძალიან მოეწონათ.

– სწავლის პარალელურად, გქონდა თუ არა მუშაობის შესაძლებლობა? რამდენადაც ვიცი, უცხოეთში სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლება აქვთ.

მუშაობის უფლება არ მქონდა, იმიტომ რომ ეს პროგრამები სტუდენტისგან სტუდენტურ ცხოვრებაში მაქსიმალურ ჩართულობას და აქტიურობას მოითხოვს. დაბალი ქულების მიღების შემთხვევაში, წყდება კონტრაქტი და უკან ბრუნდები. ასევე, თუ სამასახურს იპოვი, მოგეხსნება სტიპენდია, არადა ანაზღაურება ნამდვილად არ არის სტიპენდიაზე მეტი. თუმცა, არის შესაძლებლობები, რომ გაიარო უფასო სტაჟირება და აიმაღლო კვალიფიკაცია. სტაჟირება IREX-ის ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნაც კი იყო. ამერიკაში სტაჟირება ერთ-ერთ ამერიკულ სკოლაში გავიარე, სადაც საერთაშორისო სტუდენტებს ინგლისურის ათვისებაში ვეხმარებოდი. ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. სტუდენტებთან მუშაობა საინტერესო იყო. გავეცანი მათი ქვეყნების კულტურას, ენებს. ვსაუბრობდით მომავალზე, ჩემს მოვალეობაში სტუდენტებისთვის სამომავლო გეგმების დასახვაში დახმარებაც შედიოდა.

– მიამბე ავსტრიული ცხოვრების შესახებ, როგორ ცხოვრობს ხალხი, ახალგაზრდები, რა არის მათთვის ყველაზე პრიორიტეტული, რომელი დარგია ყველაზე მეტად განვითარებული?

ავსტრიიდან 2 თვის წინ დავბრუნდი უამრავი შთაბეჭდილებებით. საოცარი ევროპული ქვეყანაა, კარგად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით. რა თქმა უნდა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ძალიან მოვიხიბლე ასეთი განვითარებული და მოწესრიგებული ქვეყნით. ყველაფერი საათივითაა აწყობილი. სტუდენტების ცხოვრება ბევრად საინტერესოა, მათ ჩვენზე ბევრად დიდი შანსები აქვთ, რომ საზღვარგარეთ წავიდნენ სასწავლებლად ან სამოგზაუროდ. საღამოობით გვქონდა წვეულებები, სადაც ავსტრიელ სტუდენტებთან ერთად საერთაშორისო სტუდენტებიც ვიკრიბებოდით და

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ვსაუბრობდით ჩვენ-ჩვენს ქვეყნებზე. ძალიან მიხარია, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში მყავს მეგობარი. ყველაზე დასამახსოვრებელი წვეულება იყო „moustache party“, რომლისთვისაც ბიჭები საგანგებოდ იზრდიდნენ ულვაშებს, ხოლო გოგონებს ულვაშების მიხატვა ან საერთოდ, მიწებებაც გვიწევდა.

– სად და როგორ ატარებდი თავისუფალ დროს?

თავისუფალი დრო ცოტა მქონდა, რადგან ორივე ქვეყანაში სწავლა საკმაოდ რთული იყო და დავალებაც ძალიან ბევრი მქონდა. თუმცა, დასვენება აუცილებელია. ვისვენებდი შაბათ-კვირას, ცოტა ხნით, როცა ქალაქის პარკში მივდიოდით სასეირნოდ. ხშირად იმართებოდა ფესტივალები, სადაც ადგილობრივები ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილები მოდიოდნენ. მათი ყურება ძალიან მიყვარდა.

– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?

ლიტერატურა ძალიან მიყვარს. ამიტომ სამომავლოდ ლიტერატურული ნაწარმოებების გულდასმით შესწავლით დავკავდები და, ალბათ, ამ დარგში ხარისხსაც დავიცავ. ასევე, ვაპირებ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, რომ კიდევ ერთხელ წავიდე რომელიმე ქვეყანაში და კვალიფიკაცია ავიმაღლო.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

რა თქმა უნდა, საზღვარგარეთ მიღებული განათლება გადამწყვეტ თუ არა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დასაქმებაში. თუმცა, საზღვარგარეთ ჩემი წასვლის მიზეზი დასაქმება ნამდვილად არ ყოფილა. ეს იყო ცნობისმოყვარეობა და სხვა ქვეყნების სტუდენტებთან შეხვედრის სურვილი, მათი კულტურის გაცნობა და მოგზაურობა. ასევე, იმ მეთოდებზე დაკვირვება, რომლებიც ამერიკისა თუ ევროპის უნივერსიტეტებში გამოიყენება. მიმაჩნია, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად ყველა სტუდენტი უნდა წავიდეს, რამდენიმე თვით მაინც. ეს მათ სამყაროს სხვაგვარად აღქმაში და უცხოელებთან დამეგობრებაში დაეხმარებათ.

მარტოსული, თავაზიანი მანწანწალა ისევ ჩვენთანაა

ანა ფირცხალაიშვილი

16 წლის წინ, 1997 წელს, თბილისში დაარსდა საბავშვო კინოცენტრი „ფიფქია“, რომლის მიზანი საბავშვო კინოს პოპულარიზაცია, ხელოვნებისადმი ბავშვებსა და მოზარდებში ინტერესის გაღვიძება იყო. ამ კეთილშობილური იდეის ავტორი და განმახორციელებელი კი თეატრალური ინსტიტუტის დრამისა და კინოს სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებული **ლალი გორგასლიძეა**. ცენტრმა, წლების განმავლობაში, ათასობით ბავშვს აჩუქა დისნეის მულტფილმებით მინიჭებული ბედნიერი წუთები, უფრო მოზარდებს – ჩარლი ჩაპლინის ფილმებით გაუხალისა ცხოვრება. ყოველ წელს განსაკუთრებულად აღინიშნებოდა „ფიფქიასა“ და ჩარლის დაბადების დღეები არა მარტო თბილისში და არა მარტო ჩვეულებრივი, არამედ უნარშეზღუდული ბავშვებისთვისაც – ისინი ხომ განსაკუთრებულად გამოხატავენ მათდამი გამოჩენილ თუნდაც უმნიშვნელო ყურადღებით გამოწვეულ სიხარულს. ქალბატონი ლალი, წლების განმავლობაში, უშურველად და უსასყიდლოდ უძღვებოდა ამ რთულ საქმეს თანამოაზრეთა მცირე ჯგუფთან ერთად. კინოსა და ბავშვების სიყვარული მატებდა ძალას წლიდან წლამდე რაღაც ახალი შეეთავაზებინა პატარებისთვის, რომლებიც გაფართოებული თვალებით, სულგანაბულნი შესჩერებიან ეკრანს, სადაც საყვარელი მულტფილმების გმირებთან ერთად იწყენენ და მხიარულობენ, საოცნებო, ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობენ. დისნეი და ჩარლი ჩაპლინიც ხომ ამ სამყაროს საუკეთესო შემოქმედები არიან. კინოცენტრ „ფიფქიას“ წყალობით ამ სამყაროში ძალიან ბევრჯერ იმოგზაურეს ჩვენმა ბავშვებმა, მათმა მშობლებმა და პედაგოგებმა, მაგრამ ჩვენი საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილმა თუ იცის, რომ თბილისში არსებობს ჩარლი ჩაპლინის კლუბი და მისი დამფუძნებელიც ქალბატონი ლალი გორგასლიძეა. ის პატარა მუზეუმიც (თამამად შეიძლება ასე ეწოდოს ჩარლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ექსპონატებს), რომელიც მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შექმნა, იმავე საქმეს ემსახურება, რასაც „ფიფქია“. მუზეუმმა არაერთხელ გამოიცვალა ადგილსამყოფელი და საბოლოოდ დაფუძნდა იქ, სადაც თავიდანვე ეკუთვნოდა – შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრისა და კინოს მუზეუმს შეუერთდა ქართული, რუსული და საზღვარგარეთული კინოს ისტორიის შესახებ უნიკალური გამოცემებით, დისნეისა და ჩარლის ფილმებით, ფოტოებით, აფიშებით, თოჯინებით, გობელენებით...



ყველაფერი კი 1984 წელს დაიწყო, როცა ქალბატონმა ლალიმ ინდოეთში შემთხვევით შეიძინა ინგლისურენოვანი წიგნი ჩარლი ჩაპლინის შესახებ, რომელსაც მოგვიანებით „ჩემი ბიოგრაფია“ დაერთო.

„მუზეუმის შექმნის საფუძველი, რა თქმა უნდა, ჩარლი ჩაპლინის შემოქმედების სიყვარულია. შემთხვევითი ხომ არაა, რომ ევროპის ექვს ქვეყანაში და ამერიკაში – ლოს ანჟელესში, ჩარლის კლუბებია შექმნილი, ინგლისში მუზეუმიცაა. მილიონობით სხვადასხვა თაობის ადამიანს დღესაც უყვარს მის მიერ შექმნილი „მანანწალა, თავაზიანი, დახვეწილი მეოცნებე მარტოხელა, თავგადასავლებისა და მიჯნურობის იმედით აღსავსე ყმაწვილი“. ჩვენ ყოველწლიურად აღვნიშნავთ ჩარლის დაბადების დღეს. ვცდილობთ, ყოველ ჯერზე რაიმე ახალი შევთავაზოთ მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს. ყველაზე მასშტაბური მაინც 100 წლის იუბილე იყო, მაშინდელ კინოთეატრ „ნაკადულში“ მისი შესანიშნავი ფილმი „ახალი დროება“ თბილისის თითქმის ყველა სკოლის მოსწავლეებმა ნახეს. მაშინ 17 სკოლაში სასკოლო კინოთეატრი გვქონდა და ჩვენი ურთიერთობაც უფრო ინტენსიური იყო. გვინდა ჩვენმა მუზეუმმა აღადგინოს სკოლებთან და სკოლამდელ დაწესებულებებთან ურთიერთობა, რადგან ნამდვილად შეგვიძლია მოზარდი თაობის სულიერი, კულტურული აღზრდის საქმეში წვლილის შეტანა. ბუნებრივია, ამისთვის მხოლოდ ჩვენი სურვილი არ კმარა. თავად სკოლებმაც უნდა იაქტიურონ. დამერწმუნეთ, აუცილებლად სასიკეთო იქნება ასეთი თანამშრომლობა“.

ვფიქრობ, ქალბატონ ლალის იდეა ყურადსაღები უნდა იყოს ადრესატებისათვის. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ ერთხელ მაინც დაინტერესდებით იმ მასალებით, რაც თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის სარდაფშია განთავსებული და სადაც მუდმივად ეძიებენ ახალ-ახალ მასალებს მუზეუმის გასამდიდრებლად.

ამჯერად ამ სარდაფში, 16 აპრილს, უკვე მერამდენედ, შეიკრიბნენ ჩარლი ჩაპლინის შემოქმედების თაყვანისმცემლები, მისი დაბადების 124-ე წლისთავის აღსანიშნავად. დათვალიერეს ძველი და ახალი ექსპონატები, აქვე პირველად მოეწყო სამუზეუმო უნიკალური კინოჩვენება დიაფილმისა „ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი“ და 16-მილიმეტრიან ფირზე გადაღებული – „პილიგრიმი“ და „მკურნალობა“.



* * *

„ყოველთვის მიყვარს წვიმაში სეირნობა, რადგან ვერავინ ამჩნევს, რომ ვტირი“. 16-შიც წვიმიანი საღამო იყო. ხმაურიანი კამერის ფონზე გულიანად იცინოდა დარბაზი. უცნაურია, მაგრამ არც ახლა შეუნიშნავს ვინმეს ჩარლის ცრემლიანი თვალები – მხოლოდ გამორჩეულ ხელოვანს შეუძლია, საკუთარი გულის ტკივილი ვინმეს სიცილის მიზეზი გახდეს.

სასკოლო ღონისძიება

თვითმმართველობის დღე

უკვე რამდენიმე წელია, შოთა რუსთაველის სახელობის №112 საჯარო სკოლაში დირექტორის, ქალბატონ **ნინო თაბაგარის** ინიციატივით, თვითმმართველობის დღე დამკვიდრდა.

12 აპრილი – ამ დღეს XI-XII კლასელებმა სკოლის პერსონალის ფუნქციები მოირგეს – დირექციის თუ მასწავლებლის, მანდატურის თუ დამრიგებლის, ბუღალტრის თუ საქმეთა მმართველის, საინფორმაციო მენეჯერის თუ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, მორიგის თუ დაცვის. აღსანიშნავია, რომ ყველამ ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ყველა აცნობიერებდა, რა დიდი მისია ჰქონდა იმ დღეს შესასრულებელი.

მოსწავლეები მოიკაზმნენ და სკოლას უჩვეულო ფორმაში ესტუმრნენ. სკოლის „დირექციასთან“ გაუბრების სურვილი გამიჩნდა. დღის ბოლოს „სკოლის დირექტორმა“ **სოფო წულუკიძემ** დაქანცულმა მიპასუხა: „დამთავრდა დღევანდელი დღე, 12 აპრილი, ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში“.

„დირექტორის მოადგილეები“ – **სალომე ვაშალომიძე, გიორგი ფერაიშვილი და სალომე მაზმიშვილი** – სასწავლო პროცესს აკონტროლებდნენ. სალომე მაზმიშვილმა პირველ კლასში გაკვეთილიც კი ჩაატარა.

დღის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, გაწეული მუშაობა შეფასდა. სხდომა გახსნა „პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარემ“ **მედეა მახათაძემ**. „დირექტორმა“ დისციპლინით გამორჩეული კლასები დაასახელა – I, II, III, IV, IX^2, X^2, XI^1, XI^2. დასახელდნენ, ასევე, საუკეთესო მასწავლებლები – **მედეა მახათაძე, ნინო გოგიჩაშვილი, გიორგი ჟორჟოლიანი, მაიკო რატიანი, ნინო დიდებაშვილი, გიორგი ეგუტიძე, დათო დოლიძე, თაზო კიკვაძე, ქეთევან გაგუა, გიორგი ბერბიჭაშვილი, ლელა ფარქოსაძე, დალი იობაშვილი, ანი წულუკიძე**;

მორიგეები – **ლევან ლებანიძე, გიორგი გელხაური, თამაზ ასლამაზიშვილი, ნინო ხარატიშვილი**;

მანდატურები – **გიორგი მახარაძე, ეთერ გოგია, გვანცა წულუკიძე, გიორგი ნავროზაშვილი და გიორგი ნალბანდიანი**.

112-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო თაბაგარმა და მოადგილეებმა – **ლია მთიულიშვილმა** და **შორენა ნაცვლიშვილმა** დადებითად შეაფასეს „თვითმმართველობის დღეს“ მოსწავლეთა მიერ გაწეული სამუშაო.

ამონარიდები მოსწავლეთა შთაბეჭდილებების წიგნიდან

„ეს დღე იყო ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და საპასუხისმგებლო. მიხარია, რომ ამ დღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე გავხდი.“ – **სოფიკო წულუკიძე,** XII კლასი;

„დიდი მადლობა ჩვენი სკოლის დირექციას, ეს დღე რომ გვაჩუქა. დღევანდელი დღე ყველაზე გამორჩეული იყო. იმედია, მომავალ წელს ბევრად საინტერესო იქნება, შემდეგ წელს, ალბათ, უფრო დიდი თანამდებობა მექნება.“ – **ლევან გოგილიძე, XI კლასი**;

„ეს დღე მთელი სკოლისთვის მნიშვნელოვანი იყო. ძალიან მიხარია, ჩვენი სკოლა საშუალებას რომ გვაძლევს ბავშვებს, ერთი დღით უფროსების ცხოვრებით ვიცხოვროთ. დღეს მანდატური ვარ და მივხვდი, რომ საკმაოდ რთული პროფესიაა. მადლობა დირექციას ამ ულამაზესი დღისთვის.“ – **ეთო გოგია, XI კლასი**;

„მასწავლებლის პროფესია ძალიან საპასუხისმგებლოა. დღეს ყველა ჩვენგანმა, ალბათ, კარგად გავაცნობიერეთ ამ პროფესიის სირთულე. ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.“ – **ანა ნაცვლიშვილი, XI კლასი**;

„სასიამოვნოა, იყო მასწავლებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კლასში მოაზროვნე, ხალისიანი ბავშვები გიზის. ხედავ პატარების ემოციებს, როდესაც ქაღალდისაგან ბაყაყებს უკეთებ. ბავშვების თვალებში გულწრფელობა და სიკეთე გამოსჭვივის. მასწავლებლობა სიამოვნებაა.“ – **მარიამ ზურაბიშვილი, XII კლასი**;

„დღეს მასწავლებლების გამოცდილება გავიზიარეთ და პირადად ვნახეთ, თუ როგორი რთულია იყო მასწავლებელი, მოკლედ, ეს საპასუხისმგებლო დღე კარგად დასრულდა.“ – **გიგი ჟორჟოლიანი, XII კლასი**;

„ეს დღე დაუვიწყარი იყო ჩემს ცხოვრებაში. ჩავატარე არაჩვეულებრივი გაკვეთილი, ვისიამოვნე საგაკვეთილო პროცესით. ეს ტრადიცია – „თვითმმართველობის დღე“ მისასალმებელია.“ – **თამაზ კიკვაძე, XII კლასი**;

„დღევანდელი დღე ჩემთვის ძალიან საინტერესო, სასიამოვნო და, ამასთანავე, რთულიც იყო. მე გაკვეთილი ჩავატარე პირველ კლასში. ცოტა გამაბრაზეს, მაგრამ მაინც კარგად წარიმართა საბოლოოდ. ახლა კი შევდივარ მასწავლებლის მდგომარეობაში.“ – **მარიამ დიდებაშვილი, XII კლასი**;

„თამამად ვაცხადებ, რომ მასწავლებლობა ძალიან რთულია. გაკვეთილზე დადებითი მუხტი მივიღე ბავშვებისგან, რადგან ძალიან ჭკვიანი და პასუხისმგებლობით სავსე ბავშვები არიან. მიხარია, ჩემი სკოლა ასეთ კარგ ბავშვებს რომ ზრდის და ვამაყობ, რომ ამ სკოლის აღზრდილი ვარ. განსაკუთრებულად დიდ მადლობას ვუხდი ჩვენი სკოლის დირექტორს ნინო თაბაგარს, სასწავლო ნაწილებს და ჩვენს აღმზრდელ პედაგოგებს. ნამდვილად ვაფასებ თქვენს მოღვაწეობას და ძალიან მიყვარხართ.“ – **სალომე მაზმიშვილი, XII კლასი**;

„დღევანდელი დღე ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. ვცვლიდი ლია მთიულიშვილს და მივხვდი, როგორი საპასუხისმგებლო თანამდებობაა იყო სასწავლო ნაწილი. მოსწავლეთა უმრავლესობამ ძალიან კარგად გაართვა თავი საკუთარ მისიას, მოვალეობებს, რაც დაკისრებული ჰქონდათ.

ამ ღამაზი დღისთვის ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ნინო თაბაგარს, სასწავლო ნაწილებს და თითოეულ მასწავლებელს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს დღევანდელი დღის კარგად წარმართვაში. ძალიან მწყდება გული, რომ მომავალ წელს აღარ ვიქნები ამ დღის მონაწილე.“ – **სალომე ვაშალომიძე, XII კლასი**;

„ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, მივიღეთ გამოცდილება, რაც აუცილებლად დაგვეხმარება მომავალში. კარგი იქნება უფრო ხშირად იყოს ასეთი დღე, რადგან ძალიან კმაყოფილი ვარ როგორც ბავშვების, ისე მასწავლებლების.“ – **მარიამ წიკლაური, XI კლასი**;

„ძალიან საინტერესო და სახალისო დღე იყო. ვწუხვარ, რომ კიდევ ვერ შევძლებ გაკვეთილების ჩატარებას, რადგან წელს სკოლას ვამთავრებ. ძალიან შევიფერე მასწავლებლობა. გარდა იმისა, რომ გაკვეთილი ჩავატარე, ბავშვებთან დავმეგობრდი და ვილაპარაკეთ სხვადასხვა თემებზე. მოკლედ, ძალიან მომეწონა და ძალიან მომენატრება ეს დღე.“ – **ბექა ჯამაგიძე,** XII კლასი.

ლია მთიულიშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის №112 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

„ენა ქართული დედაა ჩვენი!“

„დედაენის“ დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ჩატარება ტრადიციად დამკვიდრდა თბილისის სამასი არაგველის სახელობის 75-ე საჯარო სკოლაში.

„შარშანდელი ღონისძიება დამრიგებლობითი მნიშვნელობისა იყო, წლევანდელი საგანმანათლებლო ხასიათისაა“ – აღნიშნავს სკოლის დირექტორი **ოლიკო ქიტიაშვილი.** ამ კვირეულში კიდევ ერთხელ ვიხილეთ ის დიდი შრომა-გარჯა, რასაც ეწევიან: სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე **იზა ზარანდია**, დაწყებითი კლასების მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი **აზა ხვინგია**, პედაგოგები: **მანანა ვადაქარია, მარინა ჯელაძე, ირინა დიდებაშვილი** და **მადონა ქანთარია**. კვირეული, რომელიც სკოლაში ჩატარდა, შედეგია იმ ყოველდღიური, მიზანმიმართული, ნაყოფიერი, თანმიმდევრული მუშაობისა, რასაც ღირსეულად ეწევა ქალბატონი ოლიკო. მას გარს შემოკრებილი ჰყავს ჩინებული, კვალიფიციური კადრები, რომლებიც ატარებენ სასწავლო-შემეცნებით კონფერენციებს, საღამოებს.

დიახ, „დედაენა“ ქართველისათვის „ბუნების გამოღვიძების მახარობელია, იასავით სპეტაკი“... დიახ, „დედაენა“ სიცოცხლეზე ძლიერი და მშვენიერია – სულგანაბულ დარბაზს მოეფინა მესამე და მეოთხეკლასელების წკრიალა, ომახიანი ხმები. ზეიმი მიზნად ისახავდა დედაენის ისტორიული წარსულისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვას. ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს და გულიდან ამოსულ სტრიქონებს ახმიანებდნენ: **მარი ჩხაიძე, ნატო ჩიხელიძე, ანი ჯიქია, მარი ფოცხიშვილი, საბინა მუსაევი, თემურ ელიზბარაშვილი, სოფო ნემოვი, ელენე გურგენიძე, მიხეილ ჩხუტიაშვილი, ანა-მარია, ჯალილ გასანოვები** და **ლუკა ხითარიშვილი**.

„ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ!“ – მთელი გრძნობით ამბობენ **ბაქარ ბეროშვილი** და **მარინა ასოიანი**. მესამეკლასელებმა: **თათია ქებაძემ, მარიამ ლათიბაშვილმა, ლუკა ოჩიგავამ, ლუკა მოწონელიძემ, ნინო ცხადიაშვილმა, ქრისტინა პერტიამ, ოტია ჯანგებაშვილმა, იური ასოიანმა** და **ალი დურსუნოვმა** ხოტბა შეასხეს ქართულ ენას, წარმოადგინეს ის ისტორიული წარსული, რომელიც ქართულმა ენამ გამოიარა.

არასდროს დაავიწყდებათ 14 აპრილი 75-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რადგანაც ამ დღეს მათ ახალგაზრდა პოეტები – **მირიან ფალიანი** და მისი მეუღლე **ლალი აბაშიძე-ფალიანისა** ეწვივნენ. „მირანლალიანი“ – ასე ჰქვია მათი ლექსების კრებულს, რომელიც „ქართულმა წიგნმა“ გამოსცა. მოსწავლეებმა მეტად გაიხარეს, როცა მოისმინეს მირიანისა და ლალის მიერ წაკითხული ლექსები: „სამშობლოზე“, „დედაენაზე“, „სვანეთზე“.

მოსწავლეებმა საღამოს მუსიკალურ გაფორმებაზეც იზრუნეს და მაყურებელმა **მარი ჩხაიძის, ნატო ჩიხელიძის, მარიამ ფოცხოშვილის, ანი ჯიქიას, ანა-მარია გასანოვისა** და **ელენე გურგენიძის** შესრულებით მოისმინეს სიმღერები „დედაენაზე“ და „სამშობლოზე“.

„ქართული მარტო ენაა? ქართული – ქართველთ რწმენაა!“ – აცხადებს **ანი ჩაჩიბაია**.

„თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი, თავი ტყუილად მოგაქვს ქართველად“ – ანის ახლა **მარი ბასილაშვილი** და **ნიკა ბიბილაშვილი** ცვლიან. თუ „დედაენით არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული...“ – სათქმელს აგრძელებს **ნიჰათ შირინოვი**. „ენა ქართული ძალაა ჩვენი!“ – სიამაყით წარმოთქვამენ: **გიორგი ჭავჭანიძე, ნიკა ბუთხაშვილი, ბაქარ ბეროშვილი, მარინა ასოიანი, ლუკა კობეშავიძე, ლუკა ოჩიგავა**. ზეიმი მესამე და მეოთხეკლასელების მიერ შესრულებულმა საგალობელმა: „ენა ქართული დედაა ჩვენი!“ დაასრულა.

მარინა ჯელაძე

დადიანების განძის თბილისური დღეები

ლალი ჯელაძე

გრაფ ოლდენბურგის თბილისის სასახლე ზუგდიდის დადიანების სასახლეს მასპინძლობს. ოდესღაც დიდი სიყვარულით გაჟღენთილ, ლეგენდად ქცეულ ზამბახებისა და ოქროსფერ დარბაზებში გამოფენილი უნიკალური ექსპონატები დადიანების ცხოვრებაში გვამოგზაურებს. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, რომლის სახელიც უცნაურ ლეგენდებს უკავშირდება, დამთვალიერებელზე დღესაც საოცარ გავლენას ახდენს. იქ მისული, უცებ აღმოჩნდები გარემოში, რომელიც გაგრძნობინებს, რომ ეს შენობა არა მხოლოდ გაჟღენთილია ლეგენდით, რომელიც ოლდენბურგისა და მისი მეუღლის აგრაფინა ჯაფარიძის სიყვარულს უკავშირდება, არამედ ლეგენდა დღესაც ცოცხლობს. ოდესღაც ზამბახების ორნამენტებით მოხატულ ოთახში, ზამთარ-ზაფხულ, ჰყვაოდა ზამბახები, რომელსაც გრაფი საყვარელ მეუღლეს ყოველდღიურად უძღვნიდა (როცა საქართველოში არ ყვაოდა, ბაქოდანაც კი უგზავნიდა). დღეს, რესტავრაციის შემდეგ, ფრაგმენტებად გაცოცხლებული კედლის ორნამენტები ამ ლეგენდას ხორცს ასხამს. ოქროსფერ დარბაზში გასასვლელი კარის მინაზე გამოსახული მონოცეროზი – რქიანი, მითიური ცხენი გვახსენებს ლეგენდას, რომლის მიხედვითაც, პრინცი მეუღლეს სწორედ ამ მითიურ არსებას ადარებდა. ეს ლეგენდარული დარბაზები კი, დღეს დადიანების ცხოვრებას ექსპონატებით აცოცხლებენ, რომლებსაც წარმოშობისა და ღირებულების გარდა, განსაკუთრებული ისტორიები აქვთ.

ეკატერინე ჭავჭავაძის ცნობილი „საკოცნელა-საქანელა“ აუცილებლად მიიპყრობს ყურადღებას როგორც სილამაზით, ისე ისტორიით. ესეც ლეგენდაა, რომელიც მოგვითხრობს იმ მარადიული სიყვარულის შესახებ, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ეკატერინე ჭავჭავაძეს აკავშირებდა. XIX საუკუნის ქართველ დიდგვაროვანთა საყვარელი გასართობი, „საკოცნელა-საქანელა“, ეკატერინე ჭავჭავაძის ერთ-ერთი საყვარელი ნივთი ყოფილა, რადგანაც სწორედ აქ გაიცნეს ერთმანეთი ტატომ და ეკატერინემ. საქანელაზე წყვილ-წყვილად დაკიდებულ სხვადასხვა ფერის ჭიქებში ღვინოს ასხამდნენ, შემდეგ დაატრიალებდნენ, რომელ წყვილსაც ერთნაირი ფერის ჭიქა შეხვდებოდა, ერთმანეთისთვის უნდა ეკოცნათ. ერთ-ერთი გართობის დროს, რომელიც ჭავჭავაძეებს გაუმართავთ, თურმე, ბარათაშვილს ძალიან გაუმართლა, მას და ეკატერინეს ერთი ფერის ჭიქები შეხვდათ. ამბობენ, ეკატერინე ჭავჭავაძე, რომელიც მთელი ცხოვრება დადიანების ერთგული დარჩა, ამ ნივთს ყველგან თან დაატარებდა, გარდაცვალების დროსაც კი სასთუმალთან ედო, ბარათაშვილის სიყვარულის ერთადერთი იღბალი კი სწორედ ამ „ბედის ბორბალს“ უკავშირდებაო.

ფრანგული პრესა ახალდაქორწინებული წყვილის – სალომე დადიანისა და აშილ მიურატის შესახებ წერდა: *„პრინცესა დადიანი იყო გრაციოზული და წარმტაცი. როგორც დედამისი, ცხოვრობდა ლუვრში. საფრანგეთის მაღალი წრის საზოგადოება თავს იყრიდა მათთან, დადიანების გვარის წარმომადგენლები დიდი ხანია მეფობდნენ სამეგრელოში, კავკასიის სამხრეთ პროვინციაში, სადაც ამბობენ, რომ ქალები ლამაზები არიან“.* სამეგრელოში დაბრუნებული ამ გრაციოზული და წარმტაცი პრინცესასთვის სამუშაო მაგიდის გარნიტურს სპეციალურად საფრანგეთში უკვეთავდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილია მისი კაბინეტის ნივთები: კალენდარი, საქაღალდე, ცნობილი მოოქროვილი გლობუსი, რომელიც დატრიალებისას იმ ქვეყნის დროის სარტყელს აჩვენებს, რომელზეც გააჩერებთ. ყურადღებას იპყრობს მისი ზანზალაკი, რომლითაც პრინცესა მსახურებს თავისთან უხმობდა.

ექსპოზიციაზე გამოფენილი ყველა ნივთი სახელობითია. ოდესღაც დადიანების საოჯახო ფოტოებით შევსებული მოოქროვილი სურათების ალბომი ალექსანდრე მეორეს ნიკო მენგრელსკისთვის უჩუქებია. ფილიგრანული, ოქროს ზარნიშით შემკული დადიანების მემატიანე ალბომი ფრიშესა და გრიუბერის ნაშრომებს აერთიანებს.

აუცილებლად მიიპყრობს დამთვალიერებლის ყურადღებას ანდრია დადიანის ერთი ცხენის ფიგურის გარეშე დარჩენილი ყველასთვის ცნობილი საჭადრაკო დაფა და მის მიერ გამოცემული წიგნები, რომელშიც შესულია პირველი ქართველი პროფესიონალი მოჭადრაკის საუკეთესო საჭადრაკო პარტიები. ერთ-ერთი წიგნი, რომელშიც 100 საუკეთესო საჭადრაკო პარტიაა, ანდრია დადიანს, 1903 წელს, თავისი მეგობრისთვის, რუსი ოსტატისთვის – ემანუილ შიფერისთვის შეუკვეთია. წიგნში შიფერს მოჰყავს ციტატა „ბრიტანული საჭადრაკო ჟურნალიდან“: *„სამეგრელოს პრინც დადიანის საჭადრაკო პარტიები ფანტასტიკურია და საჭადრაკო ლიტერატურაში ისინი მუდამ ბრწყინვალე წარმატების ნიმუშებად დარჩება“.*

მართლაც გამორჩეული ქართველი დიდგვაროვნების ოჯახი საქართველოში, ერთგვარად, ქართული არისტოკრატიის მთავარ ნიშას წარმოადგენდა და მათი ცხოვრების დეტალების თვალის გადავლება წარმოდგენას გვიქმნის, როგორ ცხოვრობდა მაშინდელი ქართული არისტოკრატია. გამოფენაზე წარმოდგენილი სამეგრელოს თვალისმომჭრელი ფაიფური, ბროლი და მინა – თითოეული ნივთი სახელობითია. სამეგრელოს უფლისწულის ჭურჭელი, დადიანების გერბითა და წარწერით – „გორდი“, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ჭურჭლით, მხოლოდ გორდის სასახლეში სადილობდნენ, მასზე ამოტვიფრული „NM“ კი უფლისწულის ინიციალებია – ნიკო მენგრელსკი.

ნიკო დადიანის – სისხლისფერი რაინდის სახელით ცნობილი თავადის ჭურჭელი მეწამულისფერია. ეკატერინე ჭავჭავაძისთვის კერამიკის ცნობილი ოსტატების მიერ დამზადებულ ჭურჭელს მისი თვალისფერითა და მასზე ამოტვიფრული სამეგრელოს ნიშნით – ვერძით – ამოიცნობთ. მსოფლიოდან სამეგრელოში ჩამოტანილი უნიკალური ნივთების ისტორია საუკეთესო მემატიანეა იმისა, თუ როგორი იყო ქართველი დიდგვაროვნების ყოფა.

ამ ექსპონატების თვალის შევლებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას ქართველ თავადთა ნადიმზე. განსაკუთრებით ყურადსაღებია ღვინის ჭიქების მოცულობა. პატარა– ერთყლუპიანი ჭიქები მიგვანიშნებს იმაზე, რომ თავადები ნადიმის დროს არ თვრებოდნენ და ღვინოს ძალიან პატარა ჭიქებით მიირთმევდნენ. საქართველოში, მაგალითად, როსტომ ხანის დროს, მამაკაცის თრობა სირცხვილადაც კი ითვლებოდა.

უნიკალური გამოფენა – „დადიანები თბილისში“ – ძვირფას საგანძურს აერთიანებს – სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის პირადი ნივთები, საფრანგეთისა და რუსეთის იმპერატორთა ძვირფასი ტილოები, ნიკოლოზ ბარათაშვილის კუთვნილი ღვინის სასმისი, ვერსალსა და ლუვრში დამზადებული სხვადასხვა ჭურჭელი.

დავით არსენიშვილის სახელობის საგამოფენო დარბაზში დამთვალიერებელი, დადიანების სასახლეებში დაცულ პირველი ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის

→ 10

დადიანების განძის თბილისური დღეები

მეცხრე გვერდიდან

ჭადრაკის დაფასა და რუსეთის იმპერატორის ოქროს ალბომთან ერთად, იხილავს საფრანგეთის მარშლის, პრინც იოაჰიმ მიურატისა და ნაპოლეონ მესამის ადიუტანტის, პრინც აშილ მიურატის პირად ნივთებს; მათ დღემდე გამოუქვეყნებელ ფოტოებს; ცნობილი მხატვრის პიერ ბლანშარის, ჟაკ-ლუი დავიდის, ლადიურნერის ტილოებსა და ძვირფასა კავკასიურ ხედებსა თუ კავკასიელთა ტიპაჟის პორტრეტებს.

ბარონ დე ბაის უნიკალური ფოტოკოლექცია, რომლის ორიგინალები მხოლოდ საქართველოში ინახება, გამოფენის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიშას იკავებს და ბევრ მათგანს ქართველი დამთვალიერებელი პირველად იხილავს. მათ შორის ერთი ძალიან საინტერესო ფოტოა, რომელზეც გამოსახულია, თუ როგორ თამაშობენ ერთად პოლოს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მიურატები, დადიანები და გლეხები. ეს ფოტოკოლექცია ფოტოხელოვანისა და დადიანების მჭიდრო მეგობრობის კიდევ ერთი დასტურია.

უნიკალურმა ნივთებმა, ძვირფასი ლითონისგან დამზადებულმა ექსპონატებმა პირველად დატოვეს ზუგდიდის სასახლის საცავები. მსგავსი მასშტაბის გამოფენა ზუგდიდის დადიანების სასახლეებიდან, ბოლო 10 წლის განმავალობაში, თბილისში პირველად მოეწყო. *„ამ პროექტზე მართლაც დიდხანს ვფიქრობდით. 2002 წელს დადიანების საგანძური ეროვნულ გალერეაში გვქონდა გამოფენილი, რასაც საოცარი გამოხმაურება მოჰყვა, დამთვალიერებლების რიგი იდგა. გვინდოდა, ასე გაგვეგრძელებინა სამუზეუმო ცხოვრება, მაგრამ მიზეზთა გამო, ეს ვერ შევძელით. ამდენი დროისა და ფიქრის შემდეგ, ისევ თბილისში ვართ, ახლა ხელოვნების სასახლეში. სულ 200 ერთეული ექსპონატი ჩამოვიტანეთ, რომელიც მხოლოდ მცირე ნაწილია ზუგდიდის სასახლეებში დაცული ექსპონატებისა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ პროექტის მხარდამჭერებს. ვიცი, რომ დამთვალიერებელს გამოფენა ძალიან მოეწონება და იმედია, ჩვენს მუზეუმებს შორის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. ძალიან ვღელავ, თან სიამაყის გრძნობით ვივსები, რომ ამდენი ხნის შემდეგ, დადიანების საგანძური თბილისელ დამთვალიერებელს უმასპინძლებს“* – გვითხრა დადიანების სასახლის დირექტორმა **ლილი ბერაიამ.**

დამთვალიერებელს გიდობას სტუდენტები გაუწევენ, ეს ჩანაფიქრიც სწორედ პროექტის მთავარ მიზანს – ახალგაზრდებმა გაიცნონ ჩვენი წარსულის უნიკალური საგანძური – ემსახურება.

ზაზა ცოტნიაშვილი, სდასუ-ს წარმომადგენელი: *„პროექტი „დადიანები თბილისში“ ერთობ საინტერესოა სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით ჟურნალისტიკისა და ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის, რადგან მათ საუკეთესო საშუალება ეძლევათ, ცოცხალი პროცესების პირობებში, ექსპოზიციის გაშუქება და გიდობა შეისწავლონ.*

ბარონ დე ბაის უნიკალური ფოტოკოლექცია, რომელმაც, პრაქტიკულად, საუკუნეს გაუძლო, საუკეთესო ნიმუშია, თუნდაც იმისთვის, რომ ჩვენი სტუდენტები ფოტოჟურნალისტიკის მიმართულებით დავახელოვნოთ. ამ თვალსაზრისით, მართლაც საინტერესო პროექტია ახალგაზრდებისთვის – კვლევა და სწავლება ერთმანეთთანაა შერწყმული.“

სასახლის დირექტორი, **გიორგი კალანდია** მიიჩნევს, რომ: *„დადიანების განძი ერთ-ერთი ლეგენდარულია, არა მარტო კარგად არის შენარჩუნებული, არამედ ყველაზე დიდი რაოდენობის ექსპონატებს მოიცავს ქართველი თავადების შემორჩენილი საგანძურიდან. გამოფენაზე ნახავთ ნივთებს, რომელთა არსებობა საქართველოში ძნელად თუ წარმოგიდგენიათ – საფრანგეთის, რუსეთის, ინგლისის იმპერატორთა პირადი ნივთები, რომლებიც მათ სახსოვრად გადასცეს დადიანებს. აქედან გამომდინარე, ექსპოზიციაზე ძალიან ბევრმა ძვირფასმა ნივთმა მოიყარა თავი. საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრი სასახლე არ არის, სულ რამდენიმეა, თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა ჩვენი და ზუგდიდის სასახლეები. ჩვენ თანამშრომლობის მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული და სწორედ ამ მემორანდუმის ფარგლებში გადავწყვიტეთ, დადიანების განძის ნაწილი გამოგვეფინა მუზეუმში, რათა ახალგაზრდებმა დაათვალიერონ ქართველების თავადური ცხოვრების ელემენტები.*

გამოფენა, გარდა იმისა, რომ მოვახდინოთ საგანძურის პოპულარიზაცია, სწორედ ამ მთავარ მიზანს ემსახურება – დავაინტერესოთ ახალგაზრდობა. აქტიურად ვთანამშრომლობთ სდასუ-სთან. მისი რექტორი, ბატონი თემურ ქორიძე ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუწყოს ჩვენი მუზეუმისა და ახალგაზრდების დაახლოებას. მუზეუმში სდასუ-ს ბევრი კურსდამთავრებულია დასაქმებული და ძალიან კარგ საქმესაც აკეთებენ.

ამ პროექტზე ძალიან დიდხანს ვფიქრობდით, თუმცა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით, მხოლოდ ახლა მოგვეცა საშუალება, უნიკალური განძი ჩამოგვეტანა თბილისელი დამთვალიერებლისთვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ზუგდიდის სასახლეების, ისტორიული არქიტექტურული მუზეუმების დირექტორს, ქალბატონ ლილი ბერაიას, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის გამოფენის მოწყობაში. ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ზუგდიდის გამგეობას, რომელმაც მხარი დაგვიჭირა ამ პროექტის განხორციელებაში, პირადად გამგებლის მოადგილეს, გიზო სართანიას, რომელიც ახლა აქ იმყოფება. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორი გულშემატკივარი და მცველები ჰყავს დადიანების საგანძურს; მუზეუმის თანამშრომლებს, რომელთა სული და გული გამოჰყვა ექსპონატებს. არასდროს დამავიწყდება, როდესაც ამ განძის ჩამოტანის საკითხს ვწყვეტდით, როგორ გამაფრთხილა ერთ-ერთმა თანამშრომელმა: აბა, გიორგი, შენ იცი, როგორ მოუვლი, ჩვენი სული და გული ამ ექსპონატებს თან მოჰყვებაო. მე ამაყი ვარ, რომ ეს „ცხელი გული“ დღეს თბილისშია.“

პროექტის სპონსორის – „თელიანი ველის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსმა **თეა კიკვაძემ** განაცხადა, რომ: *„გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატებიდან, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ქართული სასმისებია. ყურადღებია, თუ როგორ მიირთმევდნენ ქართველი თავადები სასმელს. განსაკუთრებით საინტერესო იქნება ეს ახალგაზრდებისთვის.“*

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა **მანანა ბერიკაშვილმა** გამოფენის მნიშვნელობას იმ თვალსაზრისითაც გაუსვა ხაზი, რომ ასეთი პროექტები მაქსიმალურად შეუწყობს ხელს რეგიონული კულტურის – ხელოვნების გაცოცხლებაა-აღორძინებას.

მინისტრის მრჩეველმა **გიორგი გეგეჭკორმა** კი ამ პროექტს გაფანტული საქართველოს ნელ-ნელა ერთ ჯაჭვად შეკრება უწოდა. *„სამეგრელოში მოგზაურობის შემდეგ ილია ჭავჭავაძე წერდა: მე ვიყავი სამეგრელოში და ვნახე დიდი საქართველოო. ჩვენი დღევანდელი ბედნიერება სწორედ იმაშია, რომ დღეს ვიწყებთ ამ გაფანტული საქართველოს შეკრებას. დიდი იმედი მაქვს, ის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც გაფანტული ჯაჭვივით იყო, ნელ-ნელა შემოიკრებს თითოეულ რგოლს. დადიანების სასახლე-მუზეუმის უნიკალური განძი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობაა და მიხარია, რომ მას ისეთი ადამიანი უდგას სათავეში, როგორიც ქალბატონი ლილი ბერაიაა. მან უმძიმეს წლებში მოახერხა ამ მუზეუმების გადარჩენა. პატივი მხვდა, ამ წლებში მეთანამშრომლა მუზეუმთან. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ მუზეუმში ჩემი ოთხი ნამუშევარი ინახება, მათ შორისაა ცოტნე დადიანის პორტრეტი. დღეს ჩემს ერთ-ერთ ნაშრომს ბატონ გიორგის გადავცემ მუზეუმისთვის. ეს ადამიანი მართლა დაბადებულია იმისთვის, რომ ემსახუროს ხელოვნებას. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ისედაც საუკეთესო მუზეუმი, კიდევ უფრო საუკეთესოდ ვაქციოთ.“*

ხელოვნების სასახლის დირექტორის გიორგი კალანდიას ამბიციური განცხადება – ლუვრი მინდა გვქონდეს საქართველოშიო – ნაბიჯ-ნაბიჯ მართლაც ხორციელდება. ნახევარ მილიონზე მეტი ექსპონატის მფლობელი მუზეუმი ასეთი საინტერესო პროექტებით კიდევ მეტ ხიბლს სძენს „იდუმალებით მოცულ“ სასახლეს. ვისაც გსურთ დადიანების საგანძურის ხილვა და, თუნდაც, სულ ცოტა ხნით ქართველ თავადთა ეპოქაში მოგზაურობა, აუცილებლად ეწვიეთ ექსპოზიციას, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით კი, გარანტირებულად, კარგა ხანს შეინარჩუნებთ ამაღლებულ სულიერ განწყობას.

ინფორმაცია

მფრინავები მშობლიურ სკოლაში

შესაძლოა ბევრ თქვენგანს აღარ ახსოვდეს, რომ თბილისში, დღევანდელი აღმაშენებლის გამზირზე, 24-ე საშუალო სკოლის ბაზაზე, 1941 წლიდან 1955 წლამდე, ფუნქციონირებდა საბჭოთა კავშირის გმირის – ჭ. ბენდელიანის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალთა თბილისის სპეციალური საშუალო სკოლა, რომელიც ახალგაზრდებს ქვეყნის საფრენოსნო სასწავლებლებში გასაგზავნად ამზადებდა. სკოლა საუკეთესო პირობებს სთავაზობდა ახალგაზრდებს – უფასო კვება, სპეცტანსაცმელი, საერთო საცხოვრებელი. ამ მუშაობის შედეგად, სამხედრო მფრინავთა შორის ეროვნული კადრების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციაც ქართველებით კომპლექტდებოდა.

ბენდელიანის სკოლელებს, რომლებიც რუსეთში მუშაობდნენ, ძალიან ენატრებოდათ თავიანთი სკოლა, აღმზრდელი პედაგოგები და ცდილობდნენ, წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოსულიყვნენ თბილისში და მოენახულებინათ ისინი. ამ შეხვედრის დღედ დააწესეს ყოველი წლის აპრილის მეორე კვირა დღე, ანუ კოსმონავტიკის დღე. შეხვედრები ბრწყინვალედ ტარდებოდა, მონაწილეთა რიცხვი ზოგჯერ 300-ს სჭარბობდა.

და აი, მიმდინარე წლის აპრილის მეორე კვირას, ტრადიციულად, გაიმართა სპეცსკოლელთა მორიგი შეხვედრა მშობლიურ სასწავლებელში.

დანიშნულ დროს მოვიდა 12 „ბენდელიანელი“ – **ვახტანგ ბუხნიკაშვილი, ხვთისავარ არჩემაშვილი, დარვინ რუხაძე, ბუდუ აბრამიძე, ომარ გელაშვილი, ზაურ ლომიძე, გურამ ღლონტი, აკაკი კოხრეიძე, ვლადიმერ დემჩენკო, კარლო ცხოვრებაშვილი, გურამ ორბელიანი**, მათ შორის 87 წლის პროფესორი **აბესალომ ვეკუა**. მას ეს სკოლა ჯერ კიდევ 1945 წელს დაუმთავრებია და ომის ქარ-ცეცხლში მონაწილეობაც მოუსწრია. შეკრების მონაწილეებმა მოიკითხეს ერთმანეთი, დაათვალიერეს სკოლა, მოინახულეს თავ-თავიანთი საკლასო ოთახები. სკოლის დათვალიერების შემდეგ გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ვახტანგ ბუხნიკაშვილი, ბუდუ აბრამიძე, ზაურ ლომიძე, კარლო ცხოვრებაშვილი, გურამ ორბელიანი და სხვ.

ფოტო **ლიკა კაჭარავასი**

პენსიონერმა მფრინავებმა გამოთქვეს თავიანთი მზადყოფნა, მხარი დაუჭირონ ახალი ხელისუფლების დემოკრატიულ ღონისძიებებს. ითქვა ისიც, რომ საინტერესოა, რატომ ვერ მოვიდა შეხვედრაზე ზოგიერთი სპეცსკოლელი, ხომ არ უჭირთ ისე, რომ საჭიროა მათთვის ყურადღების მიქცევა, მონახულება, დახმარება.

ხვთისავარ არჩემაშვილი
სრული პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

„ანბანთქება“ – დედაენის დღე

ყოველი წლის 14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. უმაღლეს სასწავლებლებსა და საჯარო სკოლებში იმართება ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ხალხმრავლობაა დედაენის ძეგლთან, სადაც სკოლის მოსწავლეები ლექსებს კითხულობენ, პოლიტიკოსები კი 1978 წლის 14 აპრილის დრამატულ მოვლენებს იხსენებენ.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლშიც. მასში მონაწილეობდნენ მხატვრული კითხვის, საბავშვო თეატრისა და სხვა წრეების მოსწავლეები. ძალიან საინტერესო სიუჟეტი წარმოადგინეს მხატვრული კითხვის წრის მოსწავლეებმა აკაკი გეწაძის „ანბანთქების“ მიხედვით; საბავშვო თეატრის ნორჩი მსახიობი **თამთა ჭიაურელი** საინტერესო პაროდიით წარსდგა მაყურებლის წინაშე, ფოლკლორის სტუდიის მოსწავლეებმა **ასმათ** და **გიორგი ნინოშვილებმა** შეასრულეს ხალხური სიმღერები; ყველაზე პატარა მონაწილეებმა – მომავალმა პირველკლასელებმა: **ირინა თულაშვილმა, ნინო ოგანოვმა** და **ნინი თედიაშვილმა** სახალისო ინსცენირება წარმოადგინეს. ღონისძიებას ბევრი სტუმარი ესწრებოდა. გავესაუბრე ერთ-ერთ მათგანს:

– მოგეწონათ დედაენის დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება?

რა თქმა უნდა, კი. პატარებმა მეტად საინტერესო დღე გვაჩუქეს.

– თქვენი აზრით, რატომ არის 14 აპრილი დედაენის დღე?

14 აპრილი ის დღეა, როდესაც წინა თაობამ გადაარჩინა ჩვენი ენა სახელმწიფო ენის სტატუსის დაკარგვას.

– რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში 14 აპრილს, ანუ დედაენის დღეს?

საამაყო.

ნამდვილად საამაყოა ჩვენი ენა ქართული... საამაყო და სათუთი და გაფრთხილება სჭირდება...

მარიამ დურგლიშვილი
საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ჟურნალისტთა ჯგუფის წევრი

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგაძიძე

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >